ა(ა)ი.პ. „ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება "

2024 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში

ა(ა)ი.პ „ დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანება წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციას, რომელიც წესდებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვადასხვა სახის სამუშაოებს დასუფთავების , კეთილმოწყობის, გარე განათების, გამწვანების ,ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით. ასევე ასრულებს მერიის მიერ მოცემული დავალებებს მოქალაქეთა საჭიროების მიხედვით .

სამსახურში ძირითადი საქმიანობა ხორციელდება კონკრეტული ჯგუფების მიერ. შექმნილია რამდენიმე სამუშაო ჯგუფი მათ შორის გამოიყოფა კეთილმოწყობის, გარე განათების , წყალარინების , გამწვანების და დასუფთავების ჯგუფები.

ჩვენი ორგანიზაციის 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 2508,8 ათას ლარს , რომელიც მოიცავს ოთხ პროგრამას ,სადაც თანხები განაწილებულია შემდეგი ოდენობით :

1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა --1767,0 ათასი ლარი.
2. სკვერების და პარკების მოვლა - პატრონობა-- 241,9 ათასი ლარი.
3. გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია 490,9 ათასი ლარი.
4. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები 9,0 ათასი ლარი.

1 ნოემბრის მდგომარეობით.

1. დასუფთავების და ნარჩენების გატანა 1431,4 ათასი ლარი, აქედან ხელფასის ხვედრითი წილია 68,7 % , ხოლო საქონელი და მომსახურება შეადგენს 448,6 ათას. ლარს .
2. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა - ათვისებულია 190,7 ათასი ლარი. საიდანაც ხელფასის ხვედრითი წილია 99,3 % .-ი
3. გარე განათების ქსელის ექპლუატაცია და რეაბილიტაცია ათვისებულია 273,4 ათასი ლარი. საიდანაც ხელფასის ხვედრითი წილია 32,6 % . საქონელი და მომსახურება შეადგენს 137,1 ათასს ლარს, საიდანაც 115,6 ა თასი ლარი მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებაა 21,5 ათასი ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეებაა და გარე ქსელის გაფართოება 47,1 ათასი ლარი.

საქონელი და მომსახურების მუხლებიდან შეძენილია სხვადასხვა დასახელების ელექტრო საქონელი , კაბელები, ნათურები , ჩამრთველები , რელეები, ფოტოთვალები და სხვა.

4. უპარტონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებში გამოყოფილი 9,0 ათასი ლარი, ათვისებულია 6,5 ათასი ლარი.

2024 წელს ჩვენი ორგანიზაციის ჯგუფების მეშვეობით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

წყალარინების ჯგუფი

ჩატარდა საკანალიზაციო სისტემის რემონტი და აღდგენა შემდეგ უბნებზე :

- მოეწყო საკანალიზაციო ახალი სისტემა ძველი ბაზრის ტერიტორიაზე, სადაც რეაბილირდა 80 მეტრი საკანალიზაციო სისტემა.
- მოეწყო პატარა ხარაგაულში ძველი სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე 120 მეტრი საკანალიზაციო სისტემა.
- მოეწყო ახალი 130 მეტრიანი საკანალიზაციო სისტემა უნივერმაღის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- მოეწყო პატარა ხარაგაულში წერეთლის ქუჩაზე ახალი კანალიზაცია.
- მოეწყო და გარემონტდა პატარა ხარაგაულში ჭავჭავაძის ქუჩაზე 18 მეტრი კანალიზაციის სისტემა .
- გაიწმინდა პატარა ხარაგაულში გურამიშვილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხი.
- პატრა ხარაგაულში აღდგენილია დავით ჩერქეზიშვილის სახლთან და შესაბამისად შეცვლილია საკანალიზაციო სისტემა.
- გაიწმინდა უნივერმაღის მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალი სანიაღვრე 140 მეტრი სიგრძის სანიაღვრე არხი.
- გაიწმინდა პატარა ხარაგაულში ჩიხებში არსებული სანიაღვრე არხები.
- 9 აპრილის სკვერში მოეწყო მემორიალური დაფა .
- აღდგენილია სოფელ კიცხის მოსაცდელის სახურავი და შესაბამისად შეღებილია კედლები.
- შეიღება დაბაში არსებული მუსიკალური სკოლის ფასადი.
- პერიოდულად იწმინდება კაოსტიკური სოდით დაბაში არსებული საზოგადოებრივი ტუალეტი და საკანალიზაციო ჭები.
- გარემონტდა სოფელ მაქათუბნის სარიტუალო დარბაზი.
- მოეწყო სოფელ წყალაფორეთში 700 მეტრი წყლის სისტემა.
- მოეწყო სოფელ ლეღვანში 600 მეტრი სიგრძის ახალი წყლის სისტემა .

ასევე ჩვენს მიერ განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები :

პატარა ხარაგაულში მოხდა ცხაურების შეკეთება, დიდვაკის მრავალბინიან სახლთან გაიწმინდა საკანალიზაციო მილები , გაიწმინდა ისლარის სასმელი წყლის სათავე და მოეწყო შემდეგი ექსპლუატაციისათვის.

ტრანსპორტის ჯგუფი

ჩვენი კუთვნილ ავტოფარეხში გეგმიურად მიმდინარეობს ორგანიზაციაზე რიცხული ავტომანქანების შეკეთება, რათა რთული რელიეფიდან გამომდინარე არ მოხდეს ნაგავშემგროვებელი ავტომანქანების მწყობრიდან გამოსვლა და დასუფთავების პროცესის შეფერხება . ტრანსპორტის ჯგუფის მეშვეობით ხდება საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხების დაზოგვა ორგანიზაციისათვის, რადგან როგორც მოგეხსენებათ ტრანსპორტის შეკეთების მომსახურეობები საკმაოდ დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული.

ჩვენს მიერ იშვითად ხდება მომსახურეობის შესყიდვა , კერძოდ ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა ჩასატარებელი სამუშაო ჩვენს ძალებს აღემატება.

სარემონტო ჯგუფი

არსებული ჯგუფის მიერ გაწმენდილი და გაკაფული იქნა პატარა ხარაგაულის ,როგორც ცენტრალური გზა , ასევე დასუფთავებული იქნა პატარა ხარაგაულში არსებული ყველა ჩიხი . პერიოდულად იწმინდება პატარა ხარაგაულში ორი სასაფლაოს ტერიტორია. გაიწმინდა და გაიკაფა შესაბამისად კიკნაძის ქუჩა და მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ჩიხებში და რაიონში შესასვლელი და გასასვლელი ტერიტორია.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია ჩვენს მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში დაცვლილი იქნა გარე განათების ბოძებზე ნათურები, ჩატარებული იქნა ელექტრო ქსელის შეცვლა და შემდგომ ექსპლუატაციისათვის მომზადება , 9 აპრილის სკვერში ელექტრო სადენებისა და განათების ბოძების შეცვლას უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე.

მუნიცაპალიტეტის 14 სოფელში დამატებით გაკეთდა ახალი გარე განათების ქსელი 3700 მეტრი სიგრძის, სადაც დაიხარჯა 100 ცალი ელექტრო ბოძი, 100 ცალი ლამპიონი და შესაბამისი დამხმარე მასალა.

გაჩეხილი და გაწმენდილი იქნა ხარაგაული- კიცხის მიმართულებით არსებული ცენტრალური გზა. ჩატარებული ღონისძიება ემსახურება ზამთარში მოსული მოსალოდნელი ნალექისაგან მიღებულ ზარალის შემცირებას . გაერთიანების ტექნიკით ზარალის აღდგენის მიზნით გაწმენდილი იქნა: სოფ.მარელისის , სოფ.ლეღვნის ,სოფ.ვახანის, სოფ. მოლითის , სოფ.ნებოძირის, სოფ.ქვების, სოფ. ბაბის, სოფ. კიცხის, სოფ.წყალაფორეთის, სოფ. ხიდრის , სოფ.

ლაშის, სოფ. ფარცხნალის, სოფ.თეთრაწყაროს, სოფ.ახალსოფლის საუბნო და ცენტრალური გზები.

ასევე შესრულებული იქნა სხვადასხვა სახის დავალებები მოქალაქეების საჭიროებიდან გამომდინარე.

დღეისთვის მუშა მდგომარეობაშია ხუთი ერთეული მძიმე ტექნიკა : გრეიდერი , - ც კლასის მარკის თვლიანი ტრაქტორი, კოვშიანი ტრაქტორი (ჩუკუროვა) , სოფ. სარგვეშისა და სოფ.ხუნევში არსებული დეტეს ტიპის ტრაქტორები. რათა მოახლოებულ ზამთრისათვის ტექნიკურად იყოს გამართული.

სახელმწიფო შესყიდვების კუთხით ვახორციელებთ, როგორც გამარტივებულ შესყიდვებს , ასევე ელექტრონულ შესყიდვებს. შესასყიდი საქონლის თუ სამუშაოს ღირებულებიდან გამომდინარე. დღეის მდგომარეობით ელექტრონული ტენდერით შესყიდულია შემდეგი საქონელი და მომსახურეობა.

1. კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდულია სულ 196 932 ლარი
   მათ შორის:
   ა) საწვავ საპოხი (დიზელი, ბენზინი,ზეთი) -181 030 ლარი.
   ბ) მანქანის ნაწილები (საბურავები,აკუმულატორი)- 14 232 ლარი.
   გ) დანარჩენი (ქაღალდი ,კომპ.და.სხვა) – 1 670 ლარი.

2. ელექტრონული ტენდერით სულ- 161 608 ლარი
   მათ შორის
   ა) გასანათებელი - 33 665 ლარი . განათების ბოძები- 18172 ლარი.
   ბ) ტრაქტორის დაქირავება -61 744 ლარი.
   დ) ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერები-78 318 ლარი
   გ) საამშენებლო მასალები -3 374 ლარი

   გამარტივებულით შეძენილია: 127 580 ლარი

ზამთრის სეზონზე აუცილებლობიდან გამომდინარე.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტის მერიასთან, საკრებულოსთან და მზათ ვართ მომავალშიც ჯეროვნათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობები.მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე ჩვენი უფლება-მოსილების ფარგლებში .

აქტიურად ვემზადებით ზამთრის სეზონისთვის,რათა საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციამ შეძლოს მასზე დაკისრებული დროული და სრულყოფილი შესრულება . გზების გათოვლისა და გაწმენდის სამუშაოების შესრულების კუთხით.